

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N17 - კურიერ სერვისი

1. წინამდებარე დანართის მიზნებისთვის ქვემოთ გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1 **SOLO კლიენტი** - ნებისმიერი **SOLO ანგარიშთა პაკეტის** მფლობელი ფიზიკური პირი.
 - 1.2 **დოკუმენტაცია - საბანკო მომსახურებით** სარგებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის და არამხოლოდ **საბანკო პროდუქტის** სარგებლობასთან დაკავშირებული **ხელშეკრულება, განაცხადი, საკრედიტო ხელშეკრულება**.
2. **კურიერ სერვისით კლიენტს** საშუალება აქვს **ბანკისგან** მიიღოს და **ბანკს** უკან გაუგზავნოს **დოკუმენტაცია** ან/და **ბარათი**.
3. **კლიენტს** შეუძლია ისარგებლოს **კურიერ სერვისით** საქართველოს ტერიტორიაზე ერთი ქალაქის ფარგლებში, ამასთან დამატებით **SOLO კლიენტს** საშუალება აქვს **ბანკისგან** მიიღოს ან/და უკან გაგზავნოს **დოკუმენტაცია** ან/და **ბარათი, ბანკის** მიერ წინასწარ განსაზღვრულ ქვეყნებში.
4. **კურიერ სერვისით** სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ **საბანკო დღის** განმავლობაში, თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.
5. **კურიერ სერვისით** სარგებლობისათვის **კლიენტის** მოთხოვნა უნდა დაფიქსირდეს **ფინანსური ნომრის** ან **იმეილ ბანკის** მეშვეობით, ხოლო **SOLO კლიენტის** შემთხვევაში, დამატებით შესაბამისი **სერვის ცენტრის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით. **კურიერ სერვისით დოკუმენტაცია** ან/და **ბარათი** იგზავნება დალუქული კონვერტით.
6. **კურიერ სერვისით** სარგებლობის შემთხვევაში **კლიენტი ვალდებულია:**
 - 6.1 ზუსტად მიუთითოს **ბანკს** მისამართი სადაც უნდა გამოცხადდეს კურიერი ან /და ზუსტად მიუთითოს **კურიერ სერვისით** სარგებლობის მიზნებისთვის ყველა საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები.
 - 6.2 **დოკუმენტაციის** ან/და **ბარათის** მიღებისას წარუდგინოს კურიერს საიდენტიფიკაციო დოკუმენტი - მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და პასპოსრტი.
 - 6.3 ჩაიბაროს კურიერის მიერ გადაცემული კონვერტი პირადად.
 - 6.4 შეამოწმოს მისთვის წარდგენილი კონვერტისა და ლუქის მთლიანობა. კონვერტის ან/და ლუქის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **ბანკს** და აცნობოს აღნიშნული ფაქტის თაობაზე.
 - 6.5 ხელი მოაწეროს მიღებულ **დოკუმენტაციას** (ხელმოწერის საჭიროების შემთხვევაში) და მიღებული **დოკუმენტაციის** ან/და **ბარათის** ჩაბარების შესაბამის დოკუმენტს პირადად, კურიერის თანდასწრებით და **ბანკში** დაფიქსირებული ფაქსიმილიეს შესაბამისად.
 - 6.6 არ გაანდოს კურიერს მიღებული/გაგზავნილი **დოკუმენტ(ებ)ის** შინაარსი ან/და **ბარათი** მონაცემები და არ გადასცეს კონვერტი კურიერს;
 - 6.7 **დოკუმენტაციის ბანკში** უკან გაგზავნის საჭიროების შემთხვევაში, მოათავსოს **დოკუმენტაცია ბანკის** მიერ გაგზავნილ ცარიელ კონვერტში და კურიერისთვის ჩაბარებამდე სათანადო წესით დალუქოს იგი.
7. **SOLO კლიენტის** მიერ **კურიერ სერვისით** სარგებლობის შემთხვევაში **SOLO კლიენტი:**
 - 7.1 ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია და სრულად აცნობიერებს, რომ **ბარათის კურიერ სერვისით** მიღების მოთხოვნის შემთხვევაში **SOLO კლიენტი** სრულად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ ზიანზე ან/და ზარალზე, მათ შორის იმ ზიანზე ან/და ზარალზე რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს, **ბანკის** ბრალეულობის გარეშე, **კურიერ სერვისით** სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი **მესამე პირის** თაღლითური ქმედების შედეგად, მათ შორის ისეთი ქმედების შედეგად, რომელიც დაკავშირებული იქნება **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** ნებისმიერი ფორმით გამჟღავნებასთან და **ბანკი** არ არის ვალდებული აანაზღაუროს ასეთი ქმედებების შედეგად დამდგარი ნებისმიერი ზიანი ან/და ზარალი, ამასთან, **SOLO კლიენტი** ადასტურებს, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობა მოქმედია **SOLO კლიენტის** მხრიდან **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში, თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
8. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **SOLO კლიენტი** ვალდებულია **იმეილ ბანკის** საშუალებით დაადასტუროს გაგზავნილი **დოკუმენტაციის** ან/და **ბარათის** მიღება მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურების გზით ან სხვა ფორმით, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში **SOLO კლიენტის** სარგებლობაში არსებული **ინტერნეტ ბანკის** ონლაინ კონსულტაციის საშუალებით. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება

SOLO კლიენტის მიერ კურიერ სერვისით ბარათის მიღებაზე, თუ SOLO კლიენტი ახორციელებს მიღებული ბარათის გააქტიურებას მობილ ბანკის საშუალებით.

9. კურიერ სერვისით სარგებლობისათვის კლიენტი ვალდებულია გაიაროს იდენტიფიკაცია, როგორც ბანკში, ასევე კურიერთან, ბანკში დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
10. ბანკი უფლებამოსილია:
 - 10.1 დაადგინოს გარკვეული წესები და პირობები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება თუ რომელი დოკუმენტაციის გაგზავნა არის შესაძლებელი კურიერ სერვისის საშუალებით და უარი განაცხადოს კურიერ სერვისის განხორციელებაზე, თუ დარღვეულია აღნიშნული წესები და პირობები;
 - 10.2 უარი განაცხადოს კურიერ სერვისის შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მხრიდან დარღვეულია ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულება.
 - 10.3 არ შეასრულოს დოკუმენტაციით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულება ან/და არ მოემსახუროს კლიენტს დოკუმენტაციით განსაზღვრული საბანკო მომსახურებით, მანამ სანამ კლიენტი არ შეასრულებს წინამდებარე დანართის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნა(ებ)ს.